





გოგოების გზამკვლევი

"ხელოვნება მოქმედებისთვის" განხორციელდა პროექტის „შემოქმედებითი კომპასი“ საგრანტო კომპონენტის “შემოქმედებითი კავშირები” ფარგლებში, რომელიც საქართველოს რეგიონების შემოქმედებით სექტორში ახალი შესაძლებლობების გაჩენას, ცოდნის გაცვლასა და თანამშრომლობითი კავშირების გაღრმავებას უწყობს ხელს.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ბენეფიციარი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის შეხედულებებს.

წიგნზე მუშაობდნენ:

კომიქსის მხატვრები:

სოფია გამახარია;

გვანცა ბლიაძე;

ქეთევან გვარჯალაძე;

მარიამ მინდიაშვილი;

მარიამ ულენტი.

ტექსტის ავტორი: მარიამ თოფჩიშვილი

შესავალი

ეს კომიქსი შენთვისაა - გოგოებისთვის და ქალებისთვის, სოციალური სამართლიანობის მხარდამჭერი ადამიანებისთვის, რომლებიც ცხოვრების მანძილზე უამრავ სირთულეს და უსამართლობას აწყდებიან.

კომიქსი შექმნილია რწმენით, რომ ქალებს და გოგონებს სჭირდებათ მეტი ინფორმაცია, მხარდაჭერა და რესურსები, რათა შეძლონ საკუთარი უფლებების რეალიზაცია და დაცვა, რაც არსებითად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობისათვის.

არსებული სოციალური და სტრუქტურული ბარიერები, რომლებიც განპირობებულია სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციით, ხშირად ზღუდავს ქალთა შესაძლებლობებს და აქვეითებს მათ წვდომას რესურსებსა და გადანაცვებების მიღების პროცესებზე.

დღევანდელ სამყაროში, განსაკუთრებით კი ისეთ რეგიონებში, სადაც კონფლიქტის და სოციალური უთანასწორობის შედეგები მძაფრად იგრძნობა, ინფორმაცია ძალაა და ამ ძალის ფლობა ნიშნავს, რომ შეგიძლია უკეთ დაიცვა საკუთარი თავი და სხვები შენ გარშემო.

კომიქსის უანრის არჩევა განპირობებულია ამ მედიუმის უნიკალური შესაძლებლობებით, ტექსტისა და ვიზუალური გამოსახულების სინთეზით ვისაუბროთ რთულ სოციალურ საკითხებზე. ვიზუალური ნარატივის გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ მკითხველმა არა მხოლოდ მიიღოს ინფორმაცია, არამედ გაიაზროს იგი, დააკავშიროს საკუთარ გამოცდილებასთან და დაინახოს პრობლემების რეალური განზომილება.

წინამდებარე გამოცემაში განხილული თემები შემთხვევითი არ არის. ისინი დაფუძნებულია ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მცხოვრები ქალებისა და გოგონების მონაწილეობით განხორციელებულ შეხვედრებსა და შემოქმედებით სამუშაოებზე.

აღნიშნული პროცესის ფარგლებში მონაწილეებმა საკუთარ კომიქსებში გამოხატეს ის საკითხები, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე მეტად აწუხებთ. მათ შორის იყო გენდერული ძალადობა, უთანასწორო შრომა, პროფესიული შესაძლებლობების შეზღუდვა, ჯანმრთელობის საკითხები და სხვა სტრუქტურული ბარიერები. სწორედ ეს თემები შეირჩა კომიქსის ძირითადი შინაარსისთვის, რითაც იგი ასახავს არა მხოლოდ ინდივიდუალურ ისტორიებს, არამედ კოლექტიურ გამოცდილებასაც.

ამგვარად, ეს კომიქსი წარმოადგენს ერთდროულად საგანმანათლებლო რესურსს და შემოქმედებით ფორმატს, რომელიც მიზნად ისახავს ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლებას, ინფორმირებულობის გაზრდას და თანასწორობისათვის ბრძოლის ხელშეწყობას. იგი ეფუძნება ადგილობრივ კონტექსტსა და მონაწილეთა ხმებს, ეს არის ქალებისა და გოგოების ამბების წიგნი.

რა არის ქალთა მიმართ (გენდერული ნიშნით) ძალადობა?

გენდერული ნიშნით ძალადობა არის ე.წ. ქოლგა ტერმინი და მოიცავს ნებისმიერი სახის საზიანო ქმედებას, რომელიც ხორციელდება პირის ნებისა და თანხმობის წინააღმდეგ და ეფუძნება სოციალურად განსაზღვრულ (ანუ, გენდერულ) განსხვავებებს ქალებსა და მამაკაცებს შორის. (United Nations High Commissioner for Refugees, n.d.)

ძალადობის მსხვერპლი ნებისმიერი იდენტობის მქონე ადამიანი შეიძლება გახდეს თუმცა, ქალები ყველაზე ხშირად ხდებიან გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლები. ამიტომ, გენდერული ნიშნით ძალადობა და ქალებზე ძალადობა ორი ტერმინია, რომლებიც ხშირად იხმარება ერთმანეთის შემცვლელად, რადგან ქალებზე ძალადობის უმრავლესობა გენდერული ნიშნით ძალადობის მოტივით არის ჩადენილი და არაპროპორციულად ზემოქმედებს მათზე.

გენდერული ნიშნით ძალადობა წარმოიშობა იმ დროს, როცა საზოგადოება ქალისა და კაცის როლებს განსაზღვრავს არა თანასწორობის, არამედ დაქვემდებარების პრინციპით.

როგორი ფორმა შეიძლება მიიღოს გენდერული ნიშნით ძალადობამ?

1. ფიზიკური ძალადობა – ფიზიკური ზიანი, მაგალითად, დარტყმა, ცემა.
2. სექსუალური ძალადობა – არასასურველი სექსუალური ქმედება ან სექსუალური ქცევის იძულება.
3. ფსიქოლოგიური ძალადობა – დამცირება, შანტაჟი, მუქარა, იზოლაცია.
მაგალითად: პარტნიორი მუდმივად გეუბნებათ, რომ მის გარეშე არაფერი შეგიძლიათ.
4. ეკონომიკური ძალადობა – ფინანსურ რესურსებზე კონტროლი, ფინანსური სარგებლის ან/და ქონების არათანაბარი განაწილება, შრომის აკრძალვა.
მაგალითად: ქმარი არ გაძლევთ საერთო რესურსებზე წვდომას ან/და გიკრძალავთ მუშაობას.
5. ციფრული ძალადობა – კონტროლი სოციალურ მედიაზე, პერსონალური ინფორმაციის გავრცელებით მუქარა.
მაგალითად: ყოფილი პარტნიორი გემუქრებათ ინტიმური ფოტოებით შანტაჟით.
6. იძულება – ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, რათა ადამიანმა შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელებაც, ან რომლისგან თავის შეკავებაც, მისი უფლებაა.

ძალადობის სხვა ფორმებს შორის არის იძულებითი ქორწინება, რესურსების წვდომის ან სერვისებისა და ინფორმაციის მიღების შეზღუდვა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში შევიწროება, თვალთვალი, ძალადობა რომელიც ხორციელდება ონლაინ ან ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი გენდერული ნიშნით ძალადობა (TFGBV).

ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი პირის მიერ: ამუამინდელი ან ყოფილი მეუღლე/პარტნიორი, ოჯახის წევრი, კოლეგა, თანაკლასელი, მეგობარი, უცნობი ადამიანი, ან პირები, რომლებიც მოქმედებენ კულტურული, რელიგიური, სახელმწიფო ან შიდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სახელით.

როგორ არის ეს დაკავშირებული სოციალურ ნორმაბთან?

საზოგადოებები ხშირად აყალიბებენ არასწორ მოლოდინებს ქალისა და კაცის ქცევებზე: ხშირად საზოგადოების მოლოდინია, რომ ქალი უნდა იყოს მორჩილი, დაქვემდებარებული; კაცი კი ძლიერი, უნდა აკონტროლებდეს ქალის ცხოვრების ყველა სფეროს. ხშირად, როცა ქალი სცდება ამ მოლოდინებს – ხდება ძალადობის მსხვერპლი. ამით საზოგადოება ფაქტობრივად „სჯის“ ქალს დამოუკიდებლობისთვის, დაუმორჩილებლობისთვის.

როგორც ნებისმიერი ტიპის ძალადობა, გენდერული ნიშნით ძალადობაც ძალაუფლებასთან დაკავშირებული საკითხია. იგი ეფუძნება აღმატებულობის განცდას და ამ აღმატებულობის დამტკიცების განზრახვას - ოჯახში, სკოლაში, სამუშაო ადგილზე, საზოგადოებაში ან მთლიანად სახელმწიფოში.

ზოგიერთ ოჯახში ძალადობა მიჩნეულია "ჩვეულებრივად", ან "ოჯახის საქმედ", რაც ხელს უშლის პრობლემის შესახებ საუბარს. სტიგმა და დამნაშავის გამართლებაც ამ პროცესის ნაწილია.

ფაქტები და სტატისტიკა:

- ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ჩაატარა, საქართველოში ყოველ მე-2 ქალს ცხოვრების განმავლობაში ძალადობის ერთი ფორმა მაინც გამოუცდია, ყოველ მე-4 ქალს კი სექსუალური შევიწროების გამოცდილება აქვს (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2023).
- 2024 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოში ოჯახში ძალადობის 10964 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 8224 ფსიქოლოგიური ძალადობის ხოლო 2479 ფიზიკური ძალადობის შემთხვევა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2025).





მოიხსენი ე
სათვალუ. დავუენახუ.
როგორ მოვეუენახუ!



აჰა. აჰა იყო!



ვაიჰ, გოგოჭო 2 წყითი.
ცელუფონი მიიყვან.




ბო...
საყვარელი...



აჰა..
ძალე
მოვალ...

გოგოჭთან ვაჰ..
თამაში და ძაჰი...

აჰა ღიღხანს
აჰ გავჩერებში...



აჰა სხვა ამაჰინაა..
ძაჰცო გოგოჭი ვაჰით..

ძაღადობა ყოველთვის
ფიზიკური არ არის, იყავი
სენსიტიური და
ყურადღებიანი.

რით საათში...? ჯაჰე
| საათში გავივალ...

აჰა... შენ ჰაჰ
მიტხაჰი ის ძაჰეჰია

ჯაჰეჰი. შენ
როგორც იცჰეჰი...

ძალადობის ამოცნობა, შეფასება და პრევენცია

როგორ ამოვიცნოთ, რომ ადამიანი ძალადობის მსხვერპლია?

ხშირად ძალადობა ფარულად მიმდინარეობს, მაგრამ არსებობს ნიშნები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს საფრთხეზე:

- მსხვერპლი ხშირად იცვლის განწყობას, აგვიანებს, ან უარს ამბობს შეხვედრებზე;
- მას აქვს შფოთვა, დაბალი თვითშეფასება, მოულოდნელი ტირილი;
- ფარავს სხეულის ნაწილებს ან ამართლებს სხეულის დაზიანებებს გარემოსა და სიტუაციის შეუსაბამოდ (მაგ. ატარებს სათვალეს შენობის შიგნითაც, აცვია გრძელმკლავიანი ან დაფარული ტანსაცმელი ზაფხულში);
- მუდმივად ამოწმებს ტელეფონს, ან ამბობს, რომ ვილაცას უნდა აუხსნას სად არის;
- მეუღლე/პარტნიორი ცდილობს აკონტროლოს მსხვერპლი, არ აძლევს მეგობრებთან კონტაქტის საშუალებას;
- მსხვერპლი ხშირად ამბობს, რომ ყველაფერში თავადაა დამნაშავე ან „აიძულა პარტნიორი ასე მოქცეულიყო“.

ოჯახში ძალადობა სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გამოხატული, მაგალითად: ბავშვის მიმართ ძალადობა, პარტნიორებს, ოჯახის წევრებს შორის ძალადობა (მაგ: და-ძმას, მამამთილსა და რძალს შორის და სხვა), ოჯახის ზრდასრულ წევრებზე ძალადობა ოჯახის სხვა წევრის მიერ.


როგორ ავიცილოთ თავიდან ძალადობა და ვიბრძოლოთ ძალადობის წინააღმდეგ?

- ძალადობა დანაშაულია – დანაშაულის შესატყობინებლად შეგვიძლია დავრეკოთ 112-ზე ან გადმოვწეროთ 112-ის მობილური აპლიკაცია, სადაც SOS ლილაკზე დაჭერით შესაძლებელია ჩუმი განგაშის გაგზავნა. აპლიკაცია უფასოა და ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.
- დავრეკოთ ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელ ხაზზე – 116 006. ცხელ ხაზზე შესაძლებელია ანონიმური შეტყობინების დატოვებაც.
- დავუკავშირდეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც გასცემენ იურიდიულ და ფსიქოლოგიის დახმარებას უფასოდ.
- გადმოვწეროთ Safe You – აპლიკაცია, რომელიც გვეხმარება ძალადობის შემთხვევების სწრაფად შეტყობინებაში, SOS ლილაკის ან სანდო კონტაქტებთან ლოკაციის გაზიარების ფუნქციით. აპლიკაციას ასევე შეუძლია ხმის აუდიო ჩანერა, შენახვა და გაგზავნა (Abramian, 2021).
- ძალადობაზე საუბარი და ინფორმაციის გავრცელება ამცირებს სტიგმას.

თუ განიცდი ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთს გაიარე კონსულტაცია, ზემოთ ჩამოთვლილი სერვისებიდან შენთვის ყველაზე მოსახერხებლის გამოყენებით:

- ფიზიკური ტკივილი, რომელიც გამოწვეულია პარტნიორის/ოჯახის წევრის ქცევით;
- შეხება სხეულის ისეთ ნაწილებზე, რომელიც შენთვის კომფორტული არ არის;
- ძალადობრივი გზით გამოხატული ეჭვიანობა სხვადასხვა საკითხის მიმართ, მაგალითად მაშინ როდესაც მეგობრებთან ყოფნას ჩვეულზე მეტი დრო დაუთმე;
- შენი პირადი ინფორმაციის, მიმოწერის, სოციალური მედიის და სხვა კონტროლი;
- შენი ფინანსური რესურსების უნებართვოდ გამოყენება ან/და შენი ფინანსური რესურსების გამოყენების აკრძალვა;
- შენი ქონების, სახლის ან/და ინვენტარის განზრახ დაზიანება;
- შენი იზოლირების მცდელობა, ოჯახის, მეგობრების და სხვა ნაცნობებისგან;
- ზეწოლა და შეშინება, რომ რაიმეს დაგიშავეს ან შენი ქცევის/გადწყვეტილების გამო საკუთარ თავს დაუშავეს რამეს;
- ძალდატანებითი მედიკამენტების მიღება ან მიღების აკრძალვა.

საერთო ქცევა, რომელიც მოძალადეების დიდ ნაწილს ახასიათებს, არის ე.წ. ძალადობის ციკლი (Peace Over Violence, n.d.), მათი ხასიათის ცვლილება ძალადობრივსა და მობოდიშეს შორის, გულწრფელი დაპირებებით, რომ ყველაფერი შეიცვლება. მოძალადე ადამიანი შეიძლება ხშირად იყოს მზრუნველი და მოსიყვარულე, განსაკუთრებით საჯარო სივრცეში და სხვების მიმართ, რაც განსაკუთრებით ართულებს მსხვერპლის დათანხმებას შეწყვიტოს ძალადობრივი ურთიერთობა.



როგორ დავარღვიო ძალადობის ციკლი?

შეიძლება თავს გამომწყდევლა გრძნობდეთ ძალადობის ციკლში, არ იცოდეთ როგორ გაექცეთ მოძალადე პარტნიორს. თუმცა, გარკვეული დაგეგმვისა და მხარდაჭერის საშუალებით, შეგიძლიათ ციკლის დარღვევა და ძალადობრივი ურთიერთობის დატოვება. ხუთი ნაბიჯი, რომელიც ძალადობის ციკლის დარღვევაში დაგეხმარებათ:

1. ძალადობის ამოცნობა და აღიარება: ძალადობის აღიარება პირველი ნაბიჯია, სანამ პრობლემას ვერ დაინახავთ, ვერ მიხვდებით, რომ ურთიერთობიდან თავის დაღწევა აუცილებელია.
2. მხარდაჭერის ძიება: ისაუბრეთ სანდო მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან ან ფსიქოლოგთან. თუ სამართლებრივ დაცვას განიხილავთ, შესაძლოა იურიდიული დახმარებაც დაგჭირდეთ. დაუკავშირდით უფლებადაცვით ორგანიზაციებს.
3. არსებული რესურსების გამოყენება: ქვეყნის მასშტაბით არსებობს ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები. თავშესაფარში ძალადობის მსხვერპლისთვის და მისი შვილ(ებ)ისთვის უზრუნველყოფილია დროებითი საცხოვრებელი, რაც მოიცავს: კვებას, ჰიგიენის და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფას. ასევე, უფასო ფსიქოლოგის, სამედიცინო და იურიდიულ დახმარებას. კრიზისული ცენტრები სთავაზობენ მსხვერპლებს/სავარაუდო მსხვერპლს ზემოთ ჩამოთვლილ სერვისებს უფასოდ.

კრიზისული ცენტრების მისამართები: თბილისი-ბუდაპეშტის ქ. N28; ქუთაისი-დუმბაძის ქ. N59-61; გორი-ბარნოვის ქ. N9ა; ოზურგეთი-გრიბოედოვის ქ. N21, ბინა N1; მარნეული-რუსთაველის ქ. N41, ბინა N48.

4. თერაპიის დანყება: ინდივიდუალური თერაპია ან ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი ჯგუფები დაგეხმარებათ გაუმკლავდეთ თქვენს ფიქრებსა და ემოციებს, შეიმუშაოთ გათავისუფლების გეგმა.
5. უსაფრთხოოდ წასვლა: შეიმუშავეთ უსაფრთხო გასვლის სტრატეგია. მოაგროვეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწრაფო კონტაქტები. შეინახეთ გარკვეული თანხა და ჩაალაგეთ აუცილებელი ნივთები. განსაზღვრეთ, სად წახვალთ.



როგორ ვუწყობთ ხელს პრევენციას?

- განათლებით — როცა ვსწავლობთ და სხვებსაც ვასწავლით, რომ ძალადობა მიუღებელია;
- მხარდაჭერით — როცა ვუსმენთ ძალადობის მსხვერპლს და არ ვადანაშაულებთ, ვთავაზობთ მას დახმარების და მხარდაჭერის გზებს;

- ხმამაღალი რეაქციით — როცა ვსაუბრობთ ამაზე საჯაროდ.

ფაქტები და სტატისტიკა:

გახსოვდეს, არასდროს განსაჯო ძალადობის მსხვერპლი. ორგანიზაციის Women against abuse (ქალების ძალადობის წინააღმდეგ) კვლევის თანახმად ქალებს საშუალოდ 7 მცდელობა სჭირდებათ ძალადობრივი პარტნიორისგან თავის დასაღწევად (Women Against Abuse, n.d.).





არათანაბარი ანაზღაურება და აუნაზღაურებელი საშინაო შრომა

საქართველოში ქალები ხშირად არიან დასაქმებულები დაბალანაზღაურებად სექტორებში, მაგალითად, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება და სხვა. ამ სფეროებს ხშირად სტერეოტიპულად “ქალურ” სამუშაოებადაც მოიხსენიებენ, რაც თავის მხრივ განაპირობებს იმას, რომ აღნიშნულ პოზიციებზე ანაზღაურება შედარებით დაბალია.

არის შემთხვევები, როდესაც ქალები და კაცები ერთი და იმავე თანამდებობაზე არიან დასაქმებულები, ან მათი მოვალეობები ერთი და იგივეა, თუმცა ქალი კაცზე ნაკლებ ანაზღაურებას იღებს – ამას გენდერული სახელფასო სხვაობა (gender pay gap) ეწოდება.

- გენდერული სახელფასო სხვაობა ქალებისა და კაცების ხელფასებს შორის განსხვავების საზომია. განსხვავების გაზომვის შესაძლო გზები მრავალფეროვანია, თუმცა შეგვიძლია დავაკვირდეთ სამუშაო მოვალეობებს, დროსა და ანაზღაურებას შორის სხვაობას. ხშირად ხდება, რომ ერთი და იმავე დაწესებულების მენეჯერად ქალი და კაცი მუშაობენ, კაცი კი უფრო მაღალ ხელფასს იღებს, ვიდრე ქალი, ან კაცს სთავაზობენ დანაშაულებას, როცა ქალს არა.

გენდერული სახელფასო სხვაობის გამოთვლის უმარტივესი გზა კაცებისა და ქალების თვიური ხელფასების ნახვაა. თვიურ ხელფასზე დაყრდნობით, როგორც ამას სამუშაო ძალის კვლევის მონაცემები აჩვენებს, გენდერული სახელფასო სხვაობა საქართველოში 2020 წელს 37.2 პროცენტს შეადგენდა (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020).

რა იწვევს ამას?

- სტერეოტიპები – თითქოს კაცი “მარჩენალია” და მეტი ეკუთვნის;
- დამსაქმებლის სტერეოტიპული რწმენა, რომ კარიერული წყვეტების – მაგალითად, ორსულობის და ოჯახის წევრებზე ზრუნვის გამო, ქალი შეიძლება ნაკლებად პროდუქტიული იყოს;
- სამუშაო საათების მოქნილობა ხშირად არ ითვალისწინებს ზრუნვის პასუხისმგებლობას, მაგალითად, სკოლის და საბავშვო ბაღს სამუშაო საათებს.

რა არის აუნაზღაურებელი შრომა?

ეს არის ყოველდღიური ზრუნვითი საქმიანობა, რომელშიც შესაძლოა ჩვენ ფულს არ ვიხდიდეთ, მაგრამ აუცილებელია ოჯახისა და საზოგადოების ფუნქციონირებისთვის, მაგალითად: სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, ბავშვების მოვლა, ავადმყოფებზე ზრუნვა. საქართველოში ეს უმეტესად ქალის პასუხისმგებლობად ითვლება.

ქალები, საშუალოდ, ყოველთვიურად უფრო ნაკლებ დროს უთმობენ ანაზღაურებად სამუშაოს, ვიდრე კაცები. ეს ფაქტი სხვადასხვა მიზეზის კომბინაციით აიხსნება, განსაკუთრებით კი იმით, რომ სწორედ ქალებს აწევთ მხრებზე არაანაზღაურებადი საოჯახო საქმე, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც სახელფასო სხვაობაზე ვსაუბრობთ. აქედან გამომდინარე, გენდერული სახელფასო სხვაობის უფრო ზუსტად გამოთვლისთვის კაცებისა და ქალების საათობრივ ანაზღაურებას უნდა შევხედოთ. ამას ნედლი საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობა ეწოდება და ის 2020 წელს 17.7 პროცენტს შეადგენდა საქართველოში.

როგორ ზღუდავს აუნაზღაურებელი შრომა ქალებს?

როცა ქალი ყოველდღიურად უმეტეს დროს აუნაზღაურებელ შრომას უთმობს:

- ნაკლები დრო რჩება განათლებისთვის, დასვენებისთვის, ჰობისთვის ან მუშაობისთვის;
- რთულია ახალი პროფესიის სწავლა;
- გადაღლილობისა და სტრესის რისკი იზრდება;
- ფინანსურად ხდება დამოკიდებული სხვებზე.
- საქართველოში ქალები 5-ჯერ მეტ დროს უთმობენ აუნაზღაურებელ შრომას ვიდრე კაცები (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022ა).

საერთაშორისო მაგალითები – როგორ შეიძლება ცვლილება?

- მაგალითად, შვედეთში და ნორვეგიაში, უფრო მეტად მიღებულია მშობლებს შორის პასუხისმგებლობების თანაბარი განაწილება. მამაკაცებს ეძლევათ "მამაკაცის ღეკრეტული შვებულება", რაც ხელს უწყობს ზრუნვის პასუხისმგებლობის გადანაწილებას (Statistics Norway [SSB], 2016).
- საფრანგეთში, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილია ბავშვთა საყოველთაო ბაღები და სუბსიდიები მშობლებისთვის, რომელსაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვი იმ დრომდე იღებს სანამ სრულწლოვანი არ გახდება. ეს არის ერთგვარი ანაზღაურება ბავშვზე ზრუნვისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით.

რატომ უნდა ვისაუბროთ ამაზე ხმამაღლა?

რადგან ეს შრომა "უხილავია", მისი ფასი კი ძალიან რეალურია. თუ ქალების აუნაზღაურებელი შრომა არ იქნება აღიარებული და გათვალისწინებული, ეკონომიკა ვერ იქნება სამართლიანი და თანასწორი.

რას შეიძლება ვითხოვდეთ?

- შრომის თანაბარი გადანაწილება ოჯახში;
- საჯარო ბაღები, რომლებიც სამუშაო გარემოზე მორგებულ განრიგზე მუშაობენ და მოხუცებზე ზრუნვის სერვისები;
- კანონით გათვალისწინებული ანაზღაურება მშობლებისთვის.



უფრო დიდი
ანატოლიანა
ვმუშავებ


და სახლში
კიდევ ერთი სმენა
მეყვება.



ნუთუ ძალიან
შრომის ნაკლები
ღირებულება
აქვს?!



ნუთუ ძალიან
მეტი გულით
განმეული
შრომა შესაფერის
ანატოლიანას
არ იმსახურებს?!



ქალთა ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა

რა გავლენა აქვს გენდერს ჯანმრთელობაზე?

ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობა პირდაპირაა დაკავშირებული მათ სოციალურ როლებთან და გენდერულ მოლოდინებთან. ქალები, განსაკუთრებით სოფლებში და დაბალშემოსავლიან ჯგუფებში, ხშირად ვერ იღებენ ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის სერვისებზე წვდომისას – როგორებიცაა გინეკოლოგიური შემოწმება, კონტრაცეფცია, უსაფრთხო მშობიარობა და ა.შ.

შინ შრომა და ჯანმრთელობის რისკები:

ქალებს ხშირად ეკისრებათ აუნაზღაურებელი საოჯახო შრომა – ბავშვების, ხანდაზმულების და ავადმყოფების მოვლა, საჭმლის მომზადება, დალაგება. ეს შრომა ფიზიკურადაც და ემოციურადაც დამლევლია. მუდმივი გადაღლილობა, სარისკო პირობებში მუშაობა (მაგ. ძლიერი ქიმიკატებით დასუფთავება), უძილობა და საკუთარ ჯანმრთელობაზე უარის თქმა შეიძლება გადაიზარდოს ქრონიკულ დაავადებებსა და მენტალურ გამოფიტვაში. ხშირად, ქალები ბოლომდე არ ათვისებენ საკუთარ გადაღლილობას და არ ეძებენ დახმარებას, რადგან საზოგადოებაში მათი პასუხისმგებლობის გადანაწილება მიუღებლად ითვლება.

დროის გამოყენების კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 66% ჩართულია აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში. ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება ქალებისა (88.3%) და კაცების (39.6%) ჯგუფში. მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია (90.3%) სოფლად მცხოვრებ ქალებში (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022b).

მენტალური ჯანმრთელობა და ქალების გამოცდილება:

ქალების მენტალურ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- მშობიარობა და დედობა: ქალები მშობიარობის შემდეგ ხშირად განიცდიან მშობიარობის შემდგომ (პოსტპარტუმ) დეპრესიას, შფოთვას, რომელიც დაუმუშავებლად რჩება, რადგან დახმარების მიღება სტიგმატიზებულია.
- სტერეოტიპები: გენდერული მოლოდინები – რომ ქალი უნდა იყოს ყოველთვის ბედნიერი, მზრუნველი, აბრკოლებს ქალებს ისაუბრონ საკუთარ გრძნობებზე.
- ძალადობა: გენდერული ნიშნით ძალადობის შედეგად ქალები ხშირად განიცდიან პოსტ-ტრავმულ სტრესულ აშლილობას (PTSD), დეპრესიას, შფოთვას. ტრავმის შემდეგ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ბევრისთვის მიუწვდომელია.

გარემოს გავლენა ჯანმრთელობაზე:

ქალები, განსაკუთრებით სოფლებში, ხშირად ცხოვრობენ ეკოლოგიურად რისკიან გარემოში – დაბინძურებული წყალი, დაუცველი სანიტარია, მავნე საწვავი (მაგ. შეშა და ცეცხლი სამზარეულოში), რაც ზრდის რესპირატორული და სხვა დაავადებების რისკს. ვინაიდან მათ უმეტესად ეკისრებათ საოჯახო სივრცის მოვლა, ამ რისკებს ყოველდღიურად აწყდებიან.

როგორ შეგვიძლია მხარი დაუჭიროთ?

- ინფორმაციის გაზიარებით: ვისაუბროთ ჯანმრთელობის საკითხებზე ღიად, განსაკუთრებით მენტალურ ჯანმრთელობაზე.
- სტიგმის დამსხვრევით: არ უნდა იყოს სტიგმატიზებული ფსიქოლოგის ან გინეკოლოგის კონსულტაცია, დახმარების თხოვნა.
- მოვითხოვოთ ცვლილება: უფრო ხელმისაწვდომი, ყველა ჯგუფზე მორგებული ჯანდაცვა სოფლად, ქალაქში, ყველგან.


ფაქტები და სტატისტიკა:

- საქართველოში სრული დროით დასაქმებული ქალები დღეში 2.7 საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საქმიანობაზე, რაც 5-ჯერ მეტია სრული დროით დასაქმებული კაცების მიერ ამ აქტივობაზე დახარჯულ დროზე (0,5 საათი).
- კაცების მიერ დასვენებაზე დღეში საშუალოდ დახარჯული დრო 4.7 საათს შეადგენს, რაც 0.8 საათით აღემატება ქალების მიერ დახარჯულ დროს – 3.9 საათს.
- საქართველოში მცხოვრები დედების 80 პროცენტი ჩართულია ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ აქტივობებში, რაც ორჯერ აღემატება მამების ამავე მაჩვენებელს – 37.6 პროცენტს (დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში, 2022).

სუნთქვის სავარჯიშო სტრესის შესამსუბუქებლად:



1. კომფორტულად დაჯექი ან დადგი ფეხები მიწაზე.
2. დახუჭე თვალები და ყურადღება სუნთქვაზე გადაიტანე.
3. ჩაისუნთქე ნელა ცხვირით, ოთხამდე დაითვალე: 1-2-3-4.
4. გააჩერე სუნთქვა ორ წამს.
5. ამოისუნთქე პირით, ისევ ოთხამდე დაითვალე: 1-2-3-4.
6. გაიმეორე ეს ციკლი 5–7-ჯერ.

ეს მარტივი სავარჯიშო დაგეხმარება დაძაბულობის შემცირებაში, გონების დამშვიდებასა და სხეულის მოდუნებაში.










აღნიშნულს ზომის 6 საათზე მაცი კომის მაცი. მუდმივად პარანაუნა ჰიუნი კომ
ყვანაჰი მომსახი და დამაჰიყად კომ ზამსაჰი და მომსახი დამაჰიყად.

ნიან ზანი მამალითიდან სწავლას სო უნდა ასწავლო კომ თან პაუკითიდან.
მსაჰი პუნაჰიჰიჰი ზომი სოიჰი უნიჰი. სანამოს სანაჰი
დანიჰიჰი ზანი ჰანი ზანიჰი პი სწავლას იმ დან ჰანიჰი ჰანი
პანიჰი მოჰიჰი.

— და პი დანაჰი ნიჰიჰი ზანი
ჰანიჰიჰიჰი იჰიჰიჰი. ზანი
კომ ჰანი დამაჰიჰიჰი ნიჰი მაცი
მონაჰიჰი ჰიჰი და პი პი
მომოს იჰიჰი კომ პიჰი დან
პანიჰი პანიჰი.

საჰი პანიჰიჰი იჰიჰი თუ
მამ ყვანაჰიჰი პანიჰიჰი
ჰანი პიჰი პიჰი.



ბანდერული სტერეოტიპები და პროფესიები

რა არის სტერეოტიპი?

სტერეოტიპი არის რწმენა ან მოლოდინი, რომელიც ადამიანების შესახებ მხოლოდ მათი ჯგუფური კუთვნილების (მაგალითად, სქესის, ეთნიკური იდენტობის) მიხედვით იქმნება — და არა იმის მიხედვით, ვინ არიან ისინი რეალურად.

მაგალითად, სტერეოტიპული მოსაზრებებია, რომ:

- „ქალები ემოციურები არიან და არ შეუძლიათ ლიდერობა“;
- „კაცებს არ შეუძლიათ შეასრულონ ზრუნვითი შრომა და საქმიანობა“;
- „გოგოებს მათემატიკა არ უყვართ და არ გამოსდით“.

რას ნიშნავს გენდერული სტერეოტიპი?

გენდერული სტერეოტიპი არის მოლოდინი, რომელსაც საზოგადოება უყენებს ადამიანს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია ან კაცი. გენდერული სტერეოტიპები ხშირად ბავშვობის ასაკიდან იწყება — სათამაშოებით, რომლებითაც ბავშვები თამაშობენ („გოგოებისთვის თოჯინები, ბიჭებისთვის მანქანები“), ფერებით („ვარდისფერი გოგოებისთვის, ლურჯი ბიჭებისთვის“), მასწავლებლების, მშობლების და საზოგადოების მიერ მიცემული შეუმჩნეველი სიგნალებით.

როგორ მოქმედებს ეს ჩვენს პროფესიულ არჩევანზე?

საზოგადოებრივი მოლოდინები ხშირად იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ ადამიანები გაუცნობიერებლად ირჩევენ „დასაშვებ“ პროფესიებს:

- ბიჭებს ტექნიკური სფეროებისკენ უბიძგებენ: ინჟინერია, პროგრამირება, ბიზნესი.
- გოგოებს კი ჰუმანიტარული მიმართულებებისკენ: პედაგოგიკა, მედიცინა, ხელოვნება.

ბევრმა გოგომ შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ის რეალურად შეიძლება შესანიშნავი ინჟინერი ან მეცნიერი გამოვიდეს — იმიტომ რომ არასდროს უთხრეს, რომ ეს შესაძლებელი იყო.

რა არის სტერეოტიპების წყარო?

გენდერული სტერეოტიპები წარმოიშობა:

- კულტურიდან და ტრადიციებიდან (მაგ. „კაცი მარჩენალია, ქალი დიასახლისი“).
- მედიიდან - რეკლამები, ფილმები, ჟურნალები სადაც ქალები ხშირად მხოლოდ დედის, მასწავლებლის, ექიმის, მზრუნველის როლშია წარმოდგენილი. კაცი კი ე.წ. პრობლემების მომგვარებელი, მეცნიერი, ინჟინერია.

- განათლების სისტემიდან - სკოლასა და უნივერსიტეტში მიღებული დამოკიდებულებები კონკრეტულ დისციპლინასთან თუ საგანთან მიმართებით.
- ოჯახიდან და ბავშვობაში მიღებული გამოცდილებიდან.

რატომ არ არის ბევრი ქალი მეცნიერი?

არსებობს არასწორი წარმოდგენა, თითქმის ქალებს ნაკლები ლოგიკა ან მეცნიერული უნარი აქვთ - რაც აბსოლუტურად ცრუ და უსაფუძვლოა. რეალურად, ქალები ხშირად აწყდებიან გარემოს მხრიდან დაბრკოლებებს:

- ნაკლები წახალისება სკოლაში და ოჯახში, მაგალითად, როცა ბიჭს ეუბნებიან, რომ ის ოჯახის იმედია, გოგოს კი ოჯახის ისეთ წევრად განიხილავენ, რომელიც გათხოვდება და მშობლებს მიატოვებს.
- ნაკლები რესურსი, მხარდაჭერა და სტიპენდიები ტექნიკურ სფეროებში.
- დისკრიმინაცია აკადემიურ ან სამუშაო გარემოში, სექსიზმი და შეურაცხყოფა ტექნიკურ და კაცებით დომინირებულ სხვა სფეროებში.
- ნაკლები ინსტიტუციური მესხიერება - ქალებს მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს მიეცათ უნივერსიტეტში სწავლის უფლება. ასევე, ისტორიულად, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროები მამაკაცებით იყო დომინირებული და ქალებს ხშირად არ ჰქონდათ განათლებისა და კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობა.



ეს ყველაფერი ქმნის სტრუქტურულ და კულტურულ ბარიერებს, სადაც ქალისთვის პროფესიული წინსვლა რთულდება, მიუხედავად მისი უნარებისა.

ვირჯინია ვულფი თავის ნაშრომში „საკუთარი ოთახი“ ხაზს უსვამდა, რომ ქალებს სჭირდებათ საკუთარი სივრცე და ფინანსური დამოუკიდებლობა, რათა შეძლონ სწავლა, კვლევა და შემოქმედება. მისი აზრით, ქალების ნიჭი ხშირად იკარგებოდა იმიტომ, რომ ისინი ვერ იღებდნენ განათლებას და არ ჰქონდათ დრო და რესურსი საკუთარი ინტერესების განსავითარებლად. ეს აზრი დღესაც აქტუალურია, ქალებს მეცნიერებაში დასამკვიდრებლად სჭირდებათ არა მხოლოდ წვდომა განათლებაზე, არამედ ისეთი გარემო, სადაც მათ ექნებათ დრო, სივრცე და მხარდაჭერა.

გენდერული სტერეოტიპები რეალობას არ ასახავენ, რატომ?

- ქალი მეცნიერები, პროგრამისტები, ეკონომისტები და ლიდერები არსებობენ - უბრალოდ ხშირად მათ არ იცნობს ფართო საზოგადოება.
- ყველა ადამიანს, მიუხედავად სქესისა, შეიძლება ჰქონდეს ნიჭი და გამბედაობა ნებისმიერ სფეროში. უნარს და პოტენციალს არ გააჩნია გენდერი, მეცნიერება და პროგრესი კი ყველას ეკუთვნის.





გამოყენებული ლიტერატურა:

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2020). გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე. გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველო. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/-Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2020/Gender%20Pay%20Gap%20Georgia%20GEO.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2022ა). აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა საქართველოში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველო. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-09/Un-paid-Care-Work%20V2%20geo.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2022ბ). დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში: 2020-2021. გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველო. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-12/GTUS%20Report%20GEO%20WEB%20%281%29.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2023). ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022. გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველო. https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/vaw_geo_web2.pdf

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი. (2025). ოჯახში ძალადობის სახეების სტატისტიკა. <https://info.police.ge/uploads/679cc44629ff9.pdf>

Abramian, J. (2021, April 1). *Safe YOU Mobile app shields women against domestic violence*. Forbes. https://www.forbes.com/sites/jackieabramian/2021/04/01/safe-you-mobile-app-shields-women-against-domestic-violence/?sh=76b885262e73&fbclid=IwAR199VHZ3S2qu_aM7xvxpBqYGYNAGE2yNFV6LnVdRrPJSxGTb8UBQXfv4mg

Peace Over Violence. (n.d.). *The cycle of violence and power and control*. <https://www.peaceoverviolence.org/iii-the-cycle-of-violence-and-power-and-control>

Statistics Norway (SSB). (2016, December 20). *Increasing proportion of fathers using the paternity leave quota*. <https://www.ssb.no/en/befolkning/artikler-og-publikasjoner/increasing-proportion-of-fathers-using-the-paternity-leave-quota>

United Nations High Commissioner for Refugees. (n.d.). *Gender-based Violence*. https://www.unhcr.org/gbv-toolkit/_test/

Women Against Abuse. (n.d.). *Why it's so difficult to leave*. <https://www.womenagainstabuse.org/education-resources/why-its-so-difficult-to-leave>


კომიქსების ვოკაბულაში მოხსენიებული,
რომლებიც ამ გზამკვლევის მთავარი
ონსპირაციული წყაროა



Natalie



S.S.



QVANTSA



ELENE

თქიზი




MAMUKA



KILLERA



NATALI



მედი

